

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან–გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან–გუბერნატორთან სამხარეო საკონსულტაციო საბჭო შიქმნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 146-ე მუხლის საფუძველზე 2014 წლის 27 აგვისტოს N02კ151 განკარგულებით.

✓ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2014 წლის 29 აგვისტოს, დამტკიცდა საბჭოს დებულება

✓ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მეორე სხდომა გაიმართა 2014 წლის 16 ოქტომბერს. სხდომაზე განხილულ იქნა:

1. რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის გაცნობა და სამუშაო ჯგუფების შექმნა.
2. ქალაქ ზესტაფონში სილიკო მანგანუმის უკანონო მოპოვების გამო შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისგან შეიქმნა 5 თემატური სამუშაო ჯგუფი (1.ინფრასტრუქტურა და ტურიზმი; 2. ბიზნესის განვითარება და სოფლის მეურნეობა; 3.ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა; 4. განათლება და კულტურა; 5. გარემოს დაცვა). სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შესაბამისად სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადდა საპროექტო წინადადებები სამოქმედო გეგმებისათვის, შედგა სამოქმედო გეგმების ცხრილები მეთოდოლოგიის დანართი №1-ისა და დანართი №2-ის შესაბამისად. რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიები შეთანხმდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების უკანონო მოპოვების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: – სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მიერ დაისვას საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე, ხოლო დეპუტატების ნ.ებანოიძის, გ.ქავთარაძის, შ.კიკნაველიძისა და გ.კახიანის მიერ დაისვას საკითხი საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობოს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს.

✓ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მესამე სხდომა მოწვეულ იქნა 2014 წლის 11 დეკემბერს, რომელზეც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს ახალი დებულების დამტკიცება (კანონში შეტანილი ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა)
2. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხილვა და მოწონება.

საკონსულტაციო საბჭოს ახალი დებულების მიღება განაპირობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, კერძოდ 147-ე მუხლისა და 149-ე მუხლის მე-2 ნაწილში

ცვლილებების შეტანამ. კანონის პირვანდელ ვარიანტში 147-ე მუხლის შესაბამისად საბჭოს წევრად დასახელებული არ იყო სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. კოდექსის 149-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირების, მისი სამოქმედო დებულების შეთანხმებისა და დამტკიცების წესებს. საკონსულტაციო საბჭომ ერთსულოვნად გამოხატა თანხმობა ახალი დებულების მიმართ და უკვე შეთანხმებული დებულება სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს გადაეცა დასამტკიცებლად.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი სტრატეგია ყველა წევრმა ერთხმად მოიწონა და მიიღო რეკომენდაცია – აღნიშნული სტრატეგია საქართველოს მთავრობასთან საშუამდგომლოდ გადაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

✓ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მეოთხე სხდომა მოწვეულ იქნა 2014 წლის 24 დეკემბერს, რომელზეც განიხილეს და მოიწონეს რეგიონული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტები.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ შეაფასა სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესაბამისობა და დასახული პროექტების თანმიმდევრულობა იმერეთის რეგიონის 2014-2021 განვითარების სტრატეგიასთან და საქართველოს რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების პროგრამასთან მიმართებაში და მიიჩნია აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად. სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ განიხილა ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები, მათი 2015 წლის ბიუჯეტების პროექტები და მიიჩნია, რომ ისინი თანხვედრაშია რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან და შესაბამის სამოქმედო გეგმასთან. განხილვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.